განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24.09.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში 0716
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მაყაშვილი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ცინცაძე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში“. კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ, შეძლებს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების მართვას

პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტს, აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გამოყოფილა 84 კრედიტი, თვისუფალ სასწავლო კურსებზე კი - 36 კრედიტი.

აღნიშნული პროგრამა შედგენილია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაში დასაბუთებულია ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მაგისტრის დონის სპეციალისტების საჭიროება.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი სასწავლო კურსები. აღსანიშნავია რომ, ახალ პროგრამაში გაერთიანებულია „საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ და „საჰაერო ხომალდებისა ავიონიკისა და ელექტრული სისტემების“ ადრინდელი საბაკალავრო პროგრამების თემატიკები და სწავლის შედეგები. აღნიშნული სიახლეები ემსახურება ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა თანამედროვე სტანდარტების ცოდნის დაუფლებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას არა მარტო საქართველოს არამედ საერთაშორისო ბაზარზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2020 წლის 29 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით მოხდა გასაუბრება: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა, შემოწმდა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის. ვიზიტის დროს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მაგისტრი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, შეძლებს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების მართვას. პროგრამის სწავლის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული, გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამაში ასახულია საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების მოთხოვნები, კერძოდ გათვალისწინებულია ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დირექტორის ბრძანებები. გათვალისწინებულია ზოგიერთი ევროპული და ამერიკული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და მათი გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. სწავლის შედეგები შესაბამებისობაშია მაგისტრატურის საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის სამი კომპეტენციის მიხედვით. სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტს აძლევს დასაქმების და კარიერული წარმატების შესაძლებლობას.

აკრედიტაციის მე-2 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნული პროგრამა შედგენილია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამაზე მიღების პირობები სამართლიანია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაში დასაბუთებულია ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტების საჭიროება. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი სასწავლო კურსები. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით. სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არის თანამედროვე, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. ფართოდაა გამოყენებული დარგის თავისებურებიდან გამომდინარე სპეციფიკური ლიტერატურა. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა. აღნიშნული კომპონენტები ემსახურება სტუდენტის აღჭურვას თანამედროვე საავიაციო საინჟინრო გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული და სამეწარმეო უნარჩვევებით. იმ

შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველს არ უდასტურდება ინჟინრის კვალიფიკაცია, სტატუსის მოპოვებისათვის უნივერსიტეტში მან უნდა ჩააბაროს შიდა სასპეციალიზაციო გამოცდა. საურველია დაკონკრეტდეს პროგრამაში, თუ რომელ სპეციალურ სასწავლო კურსებზეა საუბარი, რათა მაგისტრის სტატუსის მაძიებელ პირს თავიდანვე ქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. პროგრამის სასწავლო გეგმაში „სამაგისტრო ნაშრომი“ შეყვანილია სასწავლო კომპონენტში (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებაზე დაყრდნობით, აღნიშნული კომპონენტი გამოსაყოფია ცალკე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტატუსის სახით. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები). მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის მომსახურების პროცესში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ. ავიაკომპანიებიდან მოხდეს საავიაციო ტექნიკის საიმედოობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის, საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა რომ უნივერსიტეტში არსებობს ხელმეორე გასაჩივრების (კასაციის) წესი, რაც ობიექტურობისა და მიუკერძოებულობის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

აკრედიტაციის მე-3 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს. უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო (LMS) სისტემა, აღნიშნულ სისტემაში ხდება ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე. სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ინგლისურის B2 დონეზე ფლობა და აგრეთვე სასპეციალიზაციო გამოცდა, თუმცა არ ხდება დაკონკრეტება თუ რა საკითხების ჩაბარება მოუწევთ საავიაციო უნივერსიტეტიში საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მაგისტრობის მსურველ კანდიდატებს. სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,

რომ ნაკლებად იცნობენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს. აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის შედეგად მკაფიო გახდა, საჭიროება გაიზარდოს მაგისტრანტთა ინფორმირების დონე აკადემიური წერის სტანდარტებთან მიმართებაში, რათა მიღებული დამოწმების წესის შესაბამისად შესრულდეს სამაგისტრო ნაშრომები.

აკრედიტაციის მე-4 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მათი მონაწილეობა ძირითადად ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, ასევე მათი ჩართულობა საერთაშორისო, ძირითადად ევროპული ქვეყნების გაცვლით პროგრამებში. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის. თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის დარგის მცოდნე პროფესიონალი და აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია, განხორციელებისათვის. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკული სწავლებისათვის თბილისი აეროპორტში უნივერსიტეტს გააჩნია ექსპლანტაციიდან ამოღებული Boeing-737 ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელზეც შესაძლებელია სტუდენტმა პრაქტიკულად განახორციელოს ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესრულება. ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის ეკონომიურ მდგრადობას.

აკრედიტაციის მე-5 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მოქმედებაზე და სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი სახელმძღვანელოებით დადგენილი მოთხონების თანახმად. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწიათ კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში. შიდა შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფილია სტუდენტთა ჩართულობა შიდა შეფასების პროცესში, რისთვისაც გამოიყენება სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამოკითხვებზე დაფუძნებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ახორციელებს სწავლების პროცესის სრულყოფაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშვებას და ხელს უწყობს მათ გატარებას. უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების ეტაპებზე იყენებს გარე შეფასების ხერხს. გარე შეფასებას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, პარტნიორი ან

სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები შესაბამისი გამოკითხვების და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პერიოდული თვითშეფასების გზით. გარე შეფასების ფარგლებში უზრუნველყოფილია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სპეციალისტების მიერ პროგრამის შეფასებაში მონაწილეობა. გარე შეფასებები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შედეგების თავსებადობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, ამ გზით მიღებული შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის. უნივერსიტეტი პერიოდულად ახდენს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის სასწავლო გეგმაში კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი“ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გამოიყოს ცალკე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტატუსის სახით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაკონკრეტდეს თუ რა დამატებითი სასწავლო კურსების ჩაბარება მოუწევს მაგისტრის სტატუსის მაძიებელ პირს, როდესაც მას არ უდასტურდება ინჟინრის კვალიფიკაცია;
2. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები);
3. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის მომსახურების პროცესში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ. ავიაკომპანიებიდან მოხდეს საავიაციო ტექნიკის საიმედოობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება.
4. სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტთა მეტი ინფორმირება;
5. სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დროს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ ორიენტირებულია საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაზე. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის მაგისტრი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, შეძლებს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების მართვას. პროგრამის სწავლის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული, გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამაში ასახულია საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების მოთხოვნები, კერძოდ გათვალისწინებულია ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დირექტორის ბრძანებები. გათვალისწინებულია ზოგიერთი ევროპული და ამერიკული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება. შრომის ბაზრის ანალიზის და დამსაქმებლებთან ინტერვიუებზე დაყრდნობი დგინდება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილების ზრდა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და მათი გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“; o უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; o შეხვედრა დამსაქმებლებთან საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში;

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge;
- კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომლადების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო პროგრამა გადის სწავლის 7 შედეგზე:

- მაგისტრი ფლობს საჰაერო ხომალდების კონსტრუქციული ელემენტების მახასიათებლების ანალიზისა და განსაზღვრის თანამედროვე მეთოდების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესების და საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი რისკების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მეთოდების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- მაგისტრი აცნობიერებს საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციაში ადამიანის, ტექნიკის და კანონმდებლობის როლს და მათ ზეგავლენას ფრენის უსაფრთხოებაზე;
- საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესების სწორად დაგეგმვის, წარმართვისა და კონტროლის უნარი, ფრენის უსაფრთხოებისა და საჰაერო ხომალდების საიმედოობის უზრუნველსაყოფად;
- საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის კონტროლის და სტანდარტების შესაბამისად ახალი ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების უნარი;
- საჰაერო ხომალდების ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების დადგენის და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავების, კვლევის რაოდენობრივი, თვისებრივი მეთოდების და მეცნიერული მიდგომების გამოყენებით პრობლემის იდენტიფიცირების, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ინფორმაციის მოძიების და კრიტიკული ანალიზის, შეფასების და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით;
- კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციისას წამოჭრილი სირთულეების დროს საქმისადმი ობიექტურად და პასუხისმგებლობით მიდგომა;
- ავიაკომპანიებსა ან/და საავიაციო მარეგულირებელ ორგანიზაციებში ტექნიკური ექსპლუატაციის პირობების განსაზღვრა, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება და ახალი მიდგომების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნული სწავლის შედეგები სრულად უზრუნველყოფს საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციის ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაციაზე გასვლას. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე. სწავლის შედეგები ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის სამი კომპეტენციის მიხედვით, რაც მოიცავს როგორც ფართო თეორიული ცოდნისა და დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, ასევე - არგუმენტირებული და ლოგიკური დასკვნის გაკეთების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულის აღჭურვას პასუხიმგებლობისა და ავტონომიურობის ღირებულებებით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტს აძლევს დასაქმების და კარიერული წარმატების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის

მიზანს, არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული, მიღწევადი, გაზომვადი და განხორციელებადი. სწავლის შედეგების ფორმირებისას გამოყენებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. სტუდენტის სწავლის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი) ასევე არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვის) შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია"; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o სწავლის შედეგების რუკა; o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; o კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; o პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა B2 დონის ინგლისურის სერტიფიკატის წარდგენა, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც შესაბამისი გამოცდის ჩატარება მოხდება უნივერსიტეტის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველს არ უდასტურდება ინჟინრის კვალიფიკაცია, სტატუსის მოპოვებისათვის უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს შიდა სასპეციალიზაციო გამოცდა. სასურველია დაკონკრეტდეს პროგრამაში, თუ რომელ სპეციალურ სასწავლო კურსებზეა საუბარი, რათა მაგისტრის სტატუსის მაძიებელ პირს თავიდანვე ქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული

ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. ამგვარად დაცულია საჯაროობის და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები.

პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები სამართლიანია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://ssu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დაკონკრეტდეს თუ რა დამატებითი სასწავლო კურსების ჩაბარება მოუწევს მაგისტრის სტატუსის მაძიებელ პირს, როდესაც მას არ უდასტურდება ინჟინრის კვალიფიკაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გამოყოფილია 84 კრედიტი, თავისუფალ კომპონენტზე კი - 36 კრედიტი. დაცულია სასწავლო კურსების არჩევითობის პრინციპი.

აღნიშნული პროგრამა შედგენილია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამაში დასაბუთებულია ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტების საჭიროება.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი სასწავლო კურსები: ავიაკომპანიის სერტიფიცირება, ავიასპეციალისტთა სერტიფიცირება, ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება, საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ვარგისობა, ტექნიკური მომსახურების პროცესების მართვა. აღსანიშნავია რომ, ახალ პროგრამაში გაერთიანებულია „საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ და „საჰაერო ხომალდებისა ავიონიკისა და ელექტრული სისტემების“ ადრინდელი საბაკალავრო პროგრამების თემატიკები და სწავლის შედეგები.

პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს, პასუხობს სწავლის შედეგებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის მიზნებსა და სასწავლო კურსებთან.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით.

პროგრამის სასწავლო გეგმაში „სამაგისტრო ნაშრომი“ შეყვანილია სასწავლო კომპონენტში (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებაზე დაყრდნობით, აღნიშნული კომპონენტი გამოსაყოფია ცალკე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტატუსის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://ssu.edu.ge/
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

პროგრამის სასწავლო გეგმაში კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი“ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გამოიყოს ცალკე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სტატუსის სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 23 სასწავლო კურს და ერთ კვლევით კომპონენტს სამაგისტო ნაშრომის სახით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სწავლის საფეხური, მოცულობა კრედიტებში, წინაპირობები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვის გადანაწილება, გამოყენებული ლიტერატურა, შეფასების მეთოდები და

კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები და თემატური საკითხები. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები პასუხობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონეს). სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და მათი გადანაწილება ადეკვატურია, ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არის თანამედროვე, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. ფართოდაა გამოყენებული დარგის თავისებურებიდან გამომდინარე სპეციფიკური ლიტერატურა. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://ssu.edu.ge/; o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ; o სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

"საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის დავალებების და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებით. პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა 6 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული კომპონენტები ემსახურება სტუდენტის აღჭურვას თანამედროვე საავიაციო საინჟინრო გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული და სამეწარმეო უნარჩვევებით. პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსი სრულად პასუხობს პროგრამის სწავლის შედეგებს და წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში. ყოველწლიურად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციის დროს გამოვლინდება საუკეთესო ნაშრომები ქვეყნდება უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალში „საჰაერო ტრანსპორტი".

პროგრამა სტუდენტს ასევე უვითარებს ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა მიღებული ცოდნის საფუძველზე საჰაერო ხომალდების მომსახურების გარემოსთან სწრაფი და ეფექტური ადაპტირება.

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის მომსახურების პროცესში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ. ავიაკომპანიებიდან მოხდეს საავიაციო ტექნიკის საიმედოობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები და ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://ssu.edu.ge/;

- ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით ბაზებზე ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის მომსახურების პროცესში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ. ავიაკომპანიებიდან მოხდეს საავიაციო ტექნიკის საიმედოობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
